



# ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

## სარჩევი:

- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 2
- „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები 4
- „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 5
- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 6
- „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებები 9
- „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება 9
- ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად დადგენილი მე-11 პუნქტის შესრულების მიზნით განხორციელებული ცვლილებები 11

## საბანკო და საფინანსო სფეროს მომწესრიგებელ კანონმდებლობაში შესული ცვლილებები

### 1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონსა“ და მის თანმდევ კანონებში განხორციელებული სექტემბრის ცვლილებების მიზანი ერთიანი ევრო გადახდის სივრცეში (SEPA) საქართველოს განვვრდიანებისთვის საჭირო საკანონმდებლო ინიციატივების ასახვა გახდა. ორგანულ კანონში გაჩნდა ვირტუალური აქტივის, მომსახურების, მომსახურების პროვაიდერის საკანონმდებლო განმარტებაც, რომლებიც ამოქმედებას 2023 წლის პირველი იანვრიდან ჰპოვებენ.

კანონის მიხედვით ვირტუალური აქტივი წარმოადგენს ღირებულების ციფრულ გამოხატულებას, რომელიც არის ურთიერთჩანაცვლებადი და არ არის უნიკალური, წარმოადგენს ციფრული ფორმით გადაცემის ან ვაჭრობის საგანს და გამოიყენება ინვესტირების ან/და გადახდების განხორციელების მიზნით. ვირტუალური აქტივი არ მოიცავს ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ციფრულ გამოხატულებას. ამასთან, განიმარტა კონვერტირებადი ვირტუალური აქტივი – ვირტუალური აქტივი, რომელსაც ბაზარზე აქვს ექვივალენტი ღირებულება ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან/და ფინანსურ ინსტრუმენტში, რომელშიც შესაძლებელია ის გადაიცვალოს.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით განმარტების საჭიროება დადგა ვირტუალური აქტივის მომსახურებისათვის. კანონის მიხედვით, ვირტუალური აქტივის მომსახურება გულისხმობს კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლას (მათ შორის, თვითმომსახურების კოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემას ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო

ინსტრუმენტის შენახვა/ადმინისტრირებას, რაც ვირტუალურ აქტივზე კონტროლის საშუალებას იძლევა, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივებისგან შემდგარი პორტფელის მართვას (გარდა კოლექტიური პორტფელის მართვისა) ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივების სავაჭრო პლატფორმის ადმინისტრირებას ან/და ასეთი ვირტუალური აქტივის სესხად გაცემას ან/და პირველადი შეთავაზება ან/და პირველად შეთავაზებასთან დაკავშირებული მომსახურებას. აქვე, განიმარტა, რომ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი არის პირი, რომელიც ახორციელებს სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურებას. ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქმიანობას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე ზედამხედველობას 2023 წლის პირველი იანვრიდან გაუწევს ეროვნული ბანკი. ზედამხედველობის უფლებამოსილებები და ფარგლები დადგენილია ორგანულ კანონში. კერძოდ:

- ზედამხედველობა ითვალისწინებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმებას, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენას, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით შემოწმებასა და რეგულირებას, ვირტუალური აქტივის გადაცემისას თანმხლები ინფორმაციის განსაზღვრას, წერილობითი მითითებების გაცემას, დამატებითი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას;
- ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია რეგისტრაცია გაიაროს ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები. ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესები დგინდება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტი;
- ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს ეკრძალება ვირტუალური აქტივის მომსახურების, ამ მომსახურების განწევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობისა და საკუთარი ვირტუალური

აქტივის გადაცვლის გარდა სხვა საქმიანობის განხორციელება;

- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კანონისა და ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების დარღვევისთვის ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს და პროვაიდერის ადმინისტრატორს დააკისროს სანქცია (მათ შორის, ფულადი ჯარიმა). ფულადი ჯარიმის თანხა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად განიმარტა, რომ ვირტუალური აქტივი არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას და აკრძალულია ვირტუალური აქტივით გადახდა, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული იმ შემთხვევებისა, რომლებიც საჭიროა ვირტუალური აქტივის მომსახურების განსახორციელებლად. აღნიშნული აკრძალვა ძალაში შედის 2023 წლის პირველი იანვრიდან.

სექტემბრის ცვლილებებით განისაზღვრა ეროვნული ბანკის საბჭოს დამატებითი უფლებამოსილება, დანიშნოს ეროვნულ ბანკთან არსებული საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების სფეროში დავების განმხილველი კომისიის წევრები, მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე, და განსაზღვროს ამ კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული უფლებამოსილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი აგვისტოდან.

ორგანულ კანონში ცვლილებები, ასევე, შეეხო ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილებას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, განისაზღვრა მიმართულებები, რომლებშიც საზედამხედველო ორგანო შეიძლება ჩაერიოს, ასევე, დარღვევის შემთხვევაში სანქციების ისეთი სახეები, როგორებიცაა სუბიექტის ადმინისტრატორისთვის ხელმოწერის უფლების შეჩერება, ფულადი ჯარიმის დაკისრება და მისი თანამდებობიდან განთავისუფლება. მას, ასევე, უფლება აქვს მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისა ან არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის

შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დააკისროს სანქცია. ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული სანქციების შესახებ ინფორმაცია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ქვეყნდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

გარდა ზემოთ განხორციელებული ცვლილებებისა, კონფიდენციალობის მიმართულებით ორგანულ კანონს დაემატა „ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის“ შესახებ მუხლი და ასევე, მსგავსი ნორმატიული შინაარსით განისაზღვრა სესხის გამცემი სუბიექტისთვის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ჩანაწერების მიხედვით:

- ინფორმაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილებისა და „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების საფუძველზე.

- მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაცია (ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების, განხორციელებული ოპერაციის თაობაზე) შეიძლება მიეცეთ მხოლოდ შესაბამისი გარიგების მხარეებსა და მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებს, ეროვნულ ბანკს, ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევების განხორციელებისას – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

- სხვა პირებს მომხმარებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ან მომხმარებლის/მსესხებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე მიეცემათ.

- სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებსა და საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოსთვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის საჯარო გამოყენება, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა.

**2. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები“**

ვირტუალური აქტივების ცნების, მომსახურებისა და პროვაიდერის საქმიანობასთან დაკავშირებული ინიციატივების ფარგლებში ცვლილებები შევიდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონში, რომლის მიხედვით ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი აღიქმება ანგარიშვალდებულ პირად და მასზე სრული მოცულობით ვრცელდება კანონიდან გამომდინარე ვალდებულებები. ცვლილებიდან გამომდინარე, 2023 წლის პირველი იანვრიდან პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მომზადებული, დადებული ან/და შესრულებული გარიგება, რათა დაადგინოს, რამდენად შეესაბამება ის მისთვის ცნობილ ინფორმაციას კლიენტის შესახებ, კლიენტის კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას და კლიენტის რისკის დონეს, ხოლო, საქიროების შემთხვევაში - კლიენტის ქონების, ფულადი სახსრების და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის წარმომავლობას, აგრეთვე უნდა უზრუნველყოს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებით მოპოვებული საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის (დოკუმენტის) სათანადო პერიოდულობით განახლება. კანონით განისაზღვრა, რომ კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის გადაცემა არის ინიციატორის მიერ ან მისი დავალებით/თანხმობით, ციფრული

საშუალებით მიმღებისთვის კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შესრულებული ოპერაცია. კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის გადაცემისას შესაძლებელია ინიციატორი და მიმღები ერთი და იგივე პირი იყოს ან ინიციატორსა და მიმღებს კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის მომსახურებას ერთი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი უწევდეს. ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის გადაცემას ან/და მიღებას თან ახლდეს საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული თანხმობები ინფორმაცია. კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის მიმღების პროვაიდერის ვალდებულებად განისაზღვრა, რომ შესწავლილ იქნას არსებობს თუ არა ამ კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგების წარდგენის საფუძველი, თუ კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის გადაცემა სრულად არ შეიცავს კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის გადაცემის ინიციატორის/მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემებს საზედამხედველო ორგანოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად. ცვლილებით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას დაემატა ახალი საფუძველი. კერძოდ, პრევენციული ღონისძიების განხორციელება აუცილებელია, თუ სახეზეა „ერთჯერადი გარიგების დადება, თუ ერთჯერადი გარიგების თანხა ან დაკავშირებული გარიგებების ჯამური თანხა 15 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 15 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება, ხოლო კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის მომსახურებასთან დაკავშირებული ერთჯერადი გარიგების დადების შემთხვევაში - 1 000 აშშ-ის დოლარს, 1 000 ევროს ან 3 000 ლარს.“ ამ კანონის მიზნებისთვის საკორესპონდენტო ურთიერთობას დაემატა ჩანაწერი კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის გადაცემასა ან ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებით. ასევე, ანგარიშვალდებულ პირს დაემატა ვალდებულება, მიიღოს გონივრული ზომები პირის ქონების, ფულადი სახსრებისა და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის წარმომავლობის დასადგენად.

ცვლილებები ამოქმედდება 2023 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრაციიდან 1 წლის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2024 წლის 1 ივლისისა, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის III და IV თავებით გათვალისწინებული მოთხოვნების ისეთ კლიენტებზე გავრცელება, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობა რეგისტრაციის გავლამდე დაამყარა.

### **3. „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები**

2022 წლის 9 სექტემბრის ცვლილებებით ახლებურად განისაზღვრა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორის ცნება. განმარტების მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორი არის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის წევრი, ან/და სხვა პირები, რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ აქვთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობების დაგეგმვის, მართვის ან/და კონტროლის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. შესაბამისი პოზიციების ჩამონათვალს ამტკიცებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო. აღნიშნული ცვლილებებითვე გაფართოვდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის სფერო, კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეეძლებათ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში განახორციელონ „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გადახდის ინიცირების მომსახურება ან/და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება. ასევე, 2023 წლის პირველი იანვრიდან მათ შეეძლებათ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების განევა, კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა (მათ შორის,

თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემა ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა, რაც ვირტუალურ აქტივზე კონტროლის საშუალებას იძლევა და ამ მომსახურების განევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობა. ცვლილებები შეეხო ინფორმაციის კონფიდენციალობის შესახებ კანონის ჩანაწერსაც. აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილებისა და „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესებისა და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების საფუძველზე. ასევე, 2023 წლის პირველი აგვისტოდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში მსესხებლის შესახებ არსებული ინფორმაცია (ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების, განხორციელებული ოპერაციის, არსებული დავალიანების ან ნაშთის თაობაზე) შეიძლება მიეცეთ მხოლოდ შესაბამისი გარიგების მხარეებსა და მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევების განხორციელებისას – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. სხვა პირებს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ან მსესხებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე მიეცემათ. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

#### 4. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2022 წლის 9 სექტემბერს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები შეეხო კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმებს. კერძოდ, განისაზღვრა, რომ კანონისმიერი შესაფერისობის კრიტერიუმები ვრცელდება მხოლოდ კომერციული ბანკის ადმინისტრატორზე და მე-5 მუხლის მოქმედების სფეროს მიღმა შეეხო კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის შესაფერისობის კრიტერიუმის მოწესრიგება. ამასთან, საყურადღებოა, რომ ნეგატიური დათქმა, რომელიც აღნიშნულ ცვლილებამდე არსებობდა, შეიცვალა პოზიტიური დათქმით და განისაზღვრა ის კრიტერიუმები, რომლებსაც კომერციული ბანკის ადმინისტრატორი უნდა აკმაყოფილებდეს:

ა) კარგი რეპუტაცია, სანდოობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც, მათ შორის, გულისხმობს, რომ იგი არ უნდა იყოს ნასამართლავი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

ბ) საბანკო საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი სათანადო ცოდნა, უნარები და გამოცდილება;

გ) განსჯის დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს უნარს დამოუკიდებელი და ობიექტური განსჯის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება, შეაფასოს მმართველი ორგანოების სხვა წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი;

დ) საკმარისი დრო საკუთარი მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად;

ე) პარალელურად დაკავებული პოზიციების რაოდენობა – ადმინისტრატორი არ უნდა

იყოს საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან/და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული სუბიექტები ექვემდებარებიან იმ კომერციული ბანკის კონტროლს, სადაც მას უკავია ადმინისტრატორის პოზიცია, ან წარმოადგენენ იმ კომერციული ბანკის მაკონტროლებელ სუბიექტებს, რომელშიც მას უკავია ადმინისტრატორის პოზიცია. ბანკის ადმინისტრატორი არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორატის წევრი 5-ზე მეტ საწარმოში. ამასთანავე, 1 აღმასრულებელი პოზიცია თავსებადია 2 არააღმასრულებელ პოზიციასთან ან დასაშვებია 5 არააღმასრულებელი პოზიცია. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში დაკავებული პოზიციები მხედველობაში არ მიიღება. ამავე ქვეპუნქტის მიზნებისათვის 1 პოზიციად განიხილება:

ე.ა) ერთი ჯგუფის შიგნით დაკავებული პოზიციები. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ჯგუფი გულისხმობს კომერციულ ბანკს, მის სათავე და შვილობილ საწარმოს/საწარმოებს;

ე.ბ) პოზიციები იმ საწარმოში/საწარმოებში, რომლის/რომელთა მნიშვნელოვან წილს ფლობს ბანკი.

ადმინისტრატორის შესაფერისობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული ბანკი, რომელიც შეფასებისას ხელმძღვანელობს პროპორციულობის პრინციპით, რაც გულისხმობს შესაფერისობის კრიტერიუმების შეფასებას ბანკის ზომის, შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის, რისკის პროფილისა და კომპლექსურობის მიხედვით. პროპორციულობის პრინციპი არ გამოიყენება კარგი რეპუტაციის, სანდოობისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების კრიტერიუმების შეფასებისას. პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად განისაზღვრება შეფასების ინტენსივობის ხარისხი, შეფასების პროცედურა და წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის

შინაარსი. კანონის მიხედვით, შეფასება ხდება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ბანკის დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს შეფასებას ერთობლივად.

განახლდა კანონის თავი II1, რომელიც განსაზღვრავს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენას. მე-81 მუხლი, ნაცვლად შესაფერისობის დეკლარაციისა, არსებული რედაქციით აწესრიგებს შეტყობინებისა და ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას პირისათვის ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფისთვის, რომელიც აპირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძინოს კომერციული ბანკის წილი იმ ოდენობით, რომ ამ კომერციული ბანკის კაპიტალში მისი პირდაპირი/არაპირდაპირი მონაწილეობა 10, 20, 30 ან 50 პროცენტს გადააჭარბებს, ან/და მოიპოვებს მნიშვნელოვან გავლენას ან კონტროლს კომერციულ ბანკზე, მიუხედავად კაპიტალში ან/და ხმის უფლების მექონე აქციებში წილის ოდენობისა. ამგვარი პირი ვალდებულია ეროვნულ ბანკს პირადად, წარმომადგენლის ან ბანკის მეშვეობით წარუდგინოს მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი წილის შეძენის/ცვლილების დასადგენად, გაითვალისწინება პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის მფლობელობაში არსებული წილების ჯამური ოდენობა. მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ გადანყვეტილების მისაღებად ეროვნული ბანკი შეისწავლის წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და ითვალისწინებს შემდეგ შესაფერისობის კრიტერიუმებს:

ა) განმცხადებლის რეპუტაციას, რაც მოიცავს მის სანდოობასა და სათანადო კომპეტენციას;

ბ) განმცხადებლის მიერ ბანკის ადმინისტრატორად შერჩეული პირის (ასეთი

უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობას ამ კანონითა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

გ) განმცხადებლის ფინანსურ სიმყარეს;

დ) ბანკის შესაბამისობას პრუდენციულ საზედამხედველო მოთხოვნებთან განმცხადებლის მიერ წილის შეძენის შემდგომ;

ე) განმცხადებელთან/ტრანზაქციასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების არარსებობას.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შესაფერისობის შესახებ გადანყვეტილების მიღებამდე, პირმა არ უნდა გამოიყენოს მნიშვნელოვანი წილის ფლობასთან დაკავშირებული ხმის უფლებები და სხვა უფლებამოსილებები.

ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება ეკისრება მნიშვნელოვანი წილის როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ შემძენს. ეროვნული ბანკის თანხმობით დასაშვებია ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა შუალედური მფლობელის სახელით. შეფასების პროცესში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, რომ მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის, კონფიდენციალურიც). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის გამარტივებული პროცედურები.

საყურადღებოა, რომ კანონი განმცხადებლის შესაფერისობის შეფასებას ორი მიმართულებით ახდენს. ფორმალური შესაბამისობა მოწმდება დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 დღის ვადაში, ხოლო, თუ არ არის წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული

სრულყოფილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, ეროვნული ბანკი განმცხადებელს უდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი განმცხადებელს მნიშვნელოვანი წილის შექენაზე უარს ეუბნება. ეროვნული ბანკი წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას განიხილავს სრულყოფილი

ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღების შესახებ დასტურის გაცემიდან 60 სამუშაო დღის ვადაში, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მნიშვნელოვანი წილის შექენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა გაგრძელოს 90 სამუშაო დღემდე, რის შესახებაც განმცხადებელს ეცნობება ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე. ეროვნული ბანკისგან დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოთხოვნა დასაშვებია ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღების შესახებ წერილობითი დასტურის გაცემიდან არაუგვიანეს 50-ე სამუშაო დღისა. ამ შემთხვევაში განხილვის ვადის დინება შეჩერდება დამატებითი

ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენამდე, არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა ან არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა, თუ განმცხადებელი არარეზიდენტი პირია, რის შესახებაც განმცხადებელს უნდა ეცნობოს. ეროვნული ბანკისათვის შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარუდგენლობის ან ეროვნული ბანკის დასაბუთებული უარის მიუხედავად წილის შექენის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შესაბამის პირს შეუჩეროს ხმის უფლება ან/და მოსთხოვოს მის საკუთრებაში არსებული წილის 10 პროცენტამდე შემცირება/მნიშვნელოვანი გავლენის/კონტროლის გაუქმება, ასევე მოსთხოვოს კომერციულ ბანკს პირის მიერ წილის შექენის შედეგად მიღებული ხმის უფლების ან/და სხვა უფლებამოსილებების გამოყენების შედეგების გაუქმება.

ამავე ცვლილებებით განისაზღვრა, რომ 2023 წლის პირველი აგვისტოდან არავის აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ

ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან პირადი სარგებლობისთვის გამოიყენოს იგი. კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოთ მხოლოდ ეროვნულ ბანკსა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

გარდა ამისა, 2023 წლის პირველი იანვრიდან დასაშვებ საბანკო საქმიანობად განიხილება საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების განწევა, კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა (მათ შორის, თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემა ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა, რაც ვირტუალურ აქტივზე კონტროლის საშუალებას იძლევა და ამ მომსახურების განწევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობა. აქვე, კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობის წარმოების ნაწილში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით კომერციული ბანკი ვალდებულია კლიენტს გაუხსნას „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 202 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ანგარიში, თუ ამ ვალდებულების შესრულება არ იწვევს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ კანონმდებლობის დარღვევას.

## **5. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებები**

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მიხედვით 2023 წლის პირველი იანვრიდან საბროკერო კომპანიებმა არ უნდა



განახორციელონ საქმიანობა, რომელიც ამ კანონის 23-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული. გამონაკლისს წარმოადგენს სამთავრობო ფასიან ქალაქებთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ საქმიანობაში მონაწილეობა და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გადახდის ინიცირების მომსახურება ან/და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება. ასევე, განხორციელებადია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების განწევა, კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა (მათ შორის, თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემა ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა, რაც ვირტუალურ აქტივზე კონტროლის საშუალებას იძლევა და დამხმარე საქმიანობისა, რომელიც საჭიროა ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად.

**6. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება**

2022 წლის 29 სექტემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №45, რომლითაც დარეგულირდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე საქმის შესწავლის წესი და პროცედურა, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის პირველი ოქტომბრიდან. აღნიშნული ბრძანების თანახმად განმცხადებელს

უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს ამ პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ. განცხადება სააგენტოში წარუდგენილად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ვადის ათვლა იწყება რეგისტრაციის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან. კანონის მოთხოვნ(ებ)ის დარღვევის შესახებ სააგენტოსთვის მიმართვის ვადაა დარღვევის ჩადენიდან არაუმეტეს 2 წელი.

საქმის შესწავლა რამდენიმე ეტაპად იყოფა: 1. განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სააგენტო ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას; 2. ფორმის დაცვით შევსებული განცხადების წარუდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სააგენტო განიხილავს საქმის შესწავლის დაწყების მიზანშეწონილობის საკითხს და ფორმის დაცვით შევსებული განცხადების წარუდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საქმის შესწავლის დაწყების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სააგენტო იწყებს მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლას, თუ მას აქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტული მოვაჭრის ქმედებ(ებ)ის შედეგად ირღვევა ან შესაძლოა დაირღვეს მომხმარებელთა ჯგუფის უფლება და მათ ინტერესს ადგება ან შესაძლოა მიადგეს ზიანი. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი გულისხმობს მომხმარებელთა ფართო წრის საერთო ინტერესს. ამ შემთხვევაში სააგენტო ითვალისწინებს იმ პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობას, ვისზეც შეიძლება გავლენა იქონიოს სადავო ქმედებამ.

სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აწვდის მოვაჭრეს შესაბამის ინფორმაციას, განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს და განუსაზღვრავს არანაკლებ 5 სამუშაო დღის ვადას მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე პოზიციის წარსადგენად, ასევე, 3 სამუშაო დღის ვადაში აცნობებს განმცხადებელ(ებ)ს საქმის

შესწავლის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ და განუმარტავს უფლება- მოვალეობებს.

სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

საქმის შესწავლის წესი და პროცედურა ითვალისწინებს თითოეული მხარის უფლებებსა და ვალდებულებებს. აღსანიშნავია, რომ სააგენტო, ასევე, უფლებამოსილია, ფიზიკური ან/და იურიდიული პირისგან გამოითხოვოს საქმის შესწავლისათვის საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, მათ შორის, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოებების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, ასევე, საქმის შესწავლისას, აუცილებლობის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშნის შესახებ, თუ ექსპერტიზის დასკვნის გარეშე შეუძლებელია საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. თუ მომხმარებლის უფლების დარღვევის ფაქტი დადგინდა, მოვაჭრე ვალდებულია სრულად აანაზღაუროს ექსპერტიზის ხარჯი.

მხარისგან/დაინტერესებული პირისგან ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია როგორც წერილობით, ასევე ზეპირად ან ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებით. სააგენტოს მიერ ახსნა-განმარტებაზე მოწვეული პირები ვალდებულნი არიან, სააგენტოს მისცენ ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე მხარეთა ერთობლივი მონაწილეობით.

მსგავსად კონკურენციის კანონმდებლობისა, მოვაჭრე უფლებამოსილია, საქმის შესწავლის დასრულებამდე, სააგენტოს შესთავაზოს და აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად. სააგენტო განიხილავს სავარაუდო დარღვევის

აღმოფხვრის მიზნით მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და თუ მიიჩნევს, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც სააგენტო უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა, რომლის ვადა 1 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, თუ:

ა) მოვაჭრე თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;

ბ) პირობითი ვალდებულებები მოვაჭრის მიერ მიწოდებულ მცდარ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ეფუძნება.

ბრძანებაში ითვალისწინებს ამომწურავ საფუძვლებს საქმის შესწავლის შეწყვეტისთვის, ხოლო, ამგვარი საფუძვლების არარსებობისას საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია მოვაჭრეს დააკისროს ჯარიმები. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. მოვაჭრე ვალდებულია, ჯარიმა გადაიხადოს მისი დაკისრებიდან 1 თვის ვადაში. სააგენტოს გადაწყვეტილება, მხარის მიერ მისი ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში

**7. ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად დადგენილი მე-11 პუნქტის შესრულების მიზნით განხორციელებული ცვლილებები**

ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად დადგენილი 12 პუნქტიდან მე-11 პუნქტის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით 2022 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში. ზემოაღნიშნული მე-11 პუნქტის თანახმად, გათვალისწინებულია, რომ საქართველომ უნდა მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სასამართლოებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გათვალისწინებას.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად გაჩნდა შემდეგი სახის ჩანაწერი: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმების გამოყენებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები ამ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმების ოფიციალურ განმარტებებად მიიჩნევა და აღნიშნული ნორმების გამომყენებელს შეუძლია ამ განმარტებებს დაეყრდნოს.“ აღნიშნული ცვლილება მიღებულია 2022 წლის 18 ოქტომბერს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილება შევიდა მოსამართლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებში და მიეთითა, რომ

მოსამართლის შეფასებისას მოხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების არა მხოლოდ რაოდენობრივი კომპონენტის, არამედ მათი რელევანტურობის გათვალისწინებაც. გარდა ამისა, ორგანულ კანონში შემოტანილი დამატების მიხედვით განისაზღვრა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოებში სავალდებულო იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულის არსებობა. ამ ერთეულის ფუნქცია იქნება მოსამართლეებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობის ზრდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პერიოდული ანალიზი და აღნიშნული მიმართულებით საინფორმაციო და საგამომცემლო საქმიანობის განხორციელება.


მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ მოქმედი მოსამართლე ვალდებული იქნება 3 წელიწადში 5 დღე მაინც დაუთმოს სკოლაში კვალიფიკაციის ამაღლებას. კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა სავალდებულო კომპონენტად უნდა ითვალისწინებდეს სწავლებას ადამიანის უფლებათა სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) საკითხებზე.

„ადვოკატთა შესახებ კანონში“ განხორციელებული ცვლილების მიხედვით ნებისმიერი მიმართულებით ადვოკატის გამოცდის ჩაბარებისას გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლის პროგრამა მათ შორის უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსაც.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

*საქართველო, ქ. თბილისი,  
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,  
სართული IV, ოფისი 28*

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)  
მობილური: (+995) 555 018585  
ელ-ფოსტა: [info@nplaw.ge](mailto:info@nplaw.ge)



**NODIA,  
URUMASHVILI  
& PARTNERS**